საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ივერია“

„ივერია“ (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია. დაარსდა 2013 თბილისში ადგილობრივი ინვესტიციით. პირველი პროდუქცია გამოუშვა 2014 თებერვალში. საწარმო აღჭურვილია მოწინავე ევრ. წარმოების უახლესი დანადგარებით. მისი საპროექტო სიმძლავრეა 8–10 ტ მზა პროდუქცია დღეში (2015). უშვებს სოსისს, მოხარშულ ძეხვსა და სერველადს, აგრეთვე დელიკატესებს, სულ 70-მდე დასახელების პროდუქციას, მ. შ. სამარხვოს (სოსისი, მოხარშული ძეხვი და სერველადი), რ-იც "ი-მ" პირველმა დანერგა საქართველოში ბელგიური კომპანიის („Clarys Food Ingredients") სპეციალისტების დახმარებით. ამ პროდუქტში შემავალი ყოველი ინგრედიენტი (სოკო, წიწიბურა, ბრინჯი, სოიო, მცენარეული ცილა და სხვ.) ვეგეტარიანულია და არ შეიცავს ცხოველურ ცილასა და ცხიმს. „ი-ს" წარმოებისათვის საჭირო ნედლეული ამერ. და ევრ. სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვს. მისი პარტნიორი კომპანიებია: „ვან ჰესი" (გერმანია); „ვიბერგი", „ალმი", „შალერი" (ავსტრია) და სხვ. პროდუქცია გამოდის სავაჭრო ნიშნით „ივერია". კომპანიას თბილისსა (3) და ბათუმში (1) აქვს რამდენიმე საფირმო მაღაზია, რ-თა გაფართოება იგეგმება.

პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის ბოლოს გლდანში ექსპლუატაციაში შევიდა საწარმოს ახ. შენობა, რ-იც 4300 m^2 ფართობზეა განთავსებული.